პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 83 (4593)

1972 წ. 27 აპრილი, ხუთშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურის რესპუბლიკური აქტივის კრების მიმართვა

### საქართველოს მოსახლეობისადმი, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების შესახებ", მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებას, სიცოცხლის გახანგრძლივებას და შრომისნაყოფიერების ამაღლებას. აუცილებელია ფიზიკური კულტურა და სპორტი ამ დადგენილების განხორციელებისთვის უფრო ფართოდ დავნერგოთ საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა, რომ:

ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მცხოვრები აქტიურად ჩაებას „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში;

რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ და ფიზკულტურის კოლექტივების სპორტულ შეჯიბრებებში გათვალისწინებული იქნეს ახალი კომპლექსის 2-3 ნორმატივის ჩაბარება;

რესპუბლიკის სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური, აგრეთვე, პროფტექნიკური სასწავლებლების არც ერთი მოსწავლე და სტუდენტი არ დარჩეს ახალი კომპლექსის ნიშნის გარეშე; ამ მიზნით საზაფხულო არდადეგების დროს პიონერულ, ახალგაზრდულ და სტუდენტთა გამაჯანსაღებელ ბანაკებში მოეწყოს ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება;

რესპუბლიკის ყველა სპორტული ბაზა უნდა გადაიქცეს ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარების ცენტრად, შეიქმნას ნორმატივების მიმღები კომისიები და მსაჯთა კოლეგიები;

ფართოდ გაიშალოს ახალი კომპლექსის პროპაგანდა მოსახლეობაში. სპორტული ბაზები გაფორმდეს სტენდებით, მოწოდებებით, ახალი კომპლექსის ლოზუნგებითა და ნორმატივებით;

რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ სათანადო ადგილი დაუთმონ ახალი კომპლექსის მნიშვნელობასა და ამოცანებს, წაახალისონ ამ საქმის ინიციატორები და მოწინავენი, ამხილონ და გააკრიტიკონ ჩამორჩენილები და უინიციატივო მუშაკები;

სპორტულმა საზოგადოებებმა, დოსააფის, წითელი ჯვრისა და სხვა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებთან და კომკავშირთან ერთად, სამინისტროებისა და უწყებების აქტიური დახმარებით მიაღწიონ ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარებას, აგრეთვე, არსებული სპორტული ბაზების კეთილმოწყობასა და მათ მაქსიმალურად გამოყენებას, ახალი სპორტული ბაზების მშენებლობას, ფიზკულტურის კოლექტივების უზრუნველყოფას ყველა საჭირო მასალით;

სპორტის ვეტერანები, გამოჩენილი სპორტსმენები და მოღვაწენი, ნაკრები გუნდების წევრები და ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკები მაგალითს აძლევდნენ სხვებს ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, გახდნენ ახალი კომპლექსის პირველი ნიშნოსნები.

მთელი მუშაობა ახალი კომპლექსის ხაზით ისე უნდა წარიმართოს, რომ 1972 წლის შედეგებით რესპუბლიკურმა ორგანიზაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებისთვის იბრძოლოს.

აქტივი რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს მშრომელები, რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნებიან, პირნათლად შეასრულებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა დავალებას, ღირსეულად შეხვდებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.





## გადამწყვეტი ჭიდილის წინ

კატოვიცე, 25 აპრილი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპული ტურნირის მეორე დღეს საბჭოთა სპორტსმენთაგან სარბიელზე პირველი მინსკელი სიულჟინი (პირველი საშუალო წონა) გამოვიდა. მისი მეტოქე ფიზიკურად ძლიერი შვედი ანდერსონი იყო. უაღრესად მძაფრი და დაძაბული ბრძოლა საბჭოთა ათლეტმა ქულებით მოიგო.

ისევე როგორც პირველ წრეში, მაღალი ტექნიკა და მონდომება გამოავლინა მეორე ქვესაშუალო წონის თბილისელმა ათლეტმა მარსაგიშვილმა. მან მე-3 წუთზე წმინდად მოუგო იუგოსლაველ სტოილოვს.

მოსკოველმა სტრახოვმა (მეორე საშუალო წონა) ქულებით დაამარცხა თურქი გერეზუ.

კატოვიცეს სარბიელზე წარუმატებლად გამოდის ევროპის ჩემპიონი უმძიმეს წონაში, ბაქოელი გაჯიევი. მართალია, მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, მაგრამ მესამე წრეში ბულგარელ ნიკოლოვთან ფრეს დასჯერდა, დააგროვა 4 საჯარიმო ქულა და ფაქტიურად გამოეთიშა ოქროს მედლებისთვის მებრძოლთა რიცხვს. ახლა უკვე სასწაული უნდა მოხდეს, რომ გაჯიევმა ფინალის საგზური მოიპოვოს.

მახაჩყალელ ალახვერდიევს (მჩატე წონა) დაკარგული აქვს მხოლოდ 1,5 ქულა — იგი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას განაგრძობს. ქვემსუბუქ წონაში წარმატებით იბრძვის კიეველი კულეშოვი. მას, ისევე როგორც მარსაგიშვილს, ჯერჯერობით არა აქვს საჯარიმო ქულა.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია მოსკოველი კაზახოვი (პირველი ქვესაშუალო წონა). 5 საჯარიმო ქულით იგი მესამე წრეში ქულებით გამარჯვების შემთხვევაშიც კი დატოვებს ასპარეზს.

მეორე წრეში საბჭოთა გუნდის კაპიტანმა, მინსკელმა ა. მედვედმა (მძიმე წონა) 2 წუთსა და 33 წამში სძლია თურქ გ. ილმაზს.

კატოვიცე, 26 აპრილი. მესამე წრეში საბჭოთა მოჭიდავეებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს. კრასნოიარსკელმა ი. იარიგინმა (ქვემძიმე წონა) 31 წამში ხალიჩას მიაჯაჭვა შვედი ჰ. ნორსტრემი. ასევე წმინდად გაიმარჯვეს მარსაგიშვილმა და მედვედმა ჩეხოსლოვაკიელ მ. მუზილთან და პოლონელ რ. დლუგოშთან ორთაბრძოლებში.

მეოთხე წრეში ასპარეზობას გამოეთიშა კაზახოვი, თუმცა ბრძოლა ქულებით მოიგო.

წარმატებით განაგრძობენ წინსვლას იარიგინი და მარსაგიშვილი. პირველმა 1 წუთსა და 37 წამში დაამარცხა თურქი ა. ვილდრიმი, მეორემ კი ქულებით სძლია პოლონელ კ. ურბანოვიჩს.

გადამწყვეტი ბრძოლების წინ უდანაკარგოდ მხოლოდ ბულგარეთის გუნდია.

ევროპის ჩემპიონატის ბატალიებს კინოფირზე აღბეჭდავს ქართველ კინომუშაკთა ერთი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ცნობილი რეჟისორი-დოკუმენტალისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ასათიანი. ფილმის პირობითი სახელწოდებაა „მთავარ როლში — ჩემპიონები".

## მაღაროელებსაც ეწვია

ლენინური შაბათობის დღეს ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს სტადიონზე. ცვლაში გასვლამდე და სამუშაოს დამთავრების შემდეგ ცვლის უფროსის, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს წევრის პ. ივანოვის, მაღაროს მემანქანის, საქალაქო საბჭოს დეპუტატ ვ. ლურსმანაშვილის, მაღაროელების ი. ჩინჩალაძისა და მ. იაკობიძის ხელმძღვანელობით სპორტულ სარბიელს ბევრმა მეშახტემ მიაკითხა. მოვიდნენ სტუმრებიც ახალი ითხვისის მაღაროდან. ჯერ მძლეოსნური ბილიკები და სექტორები მოაწესრიგეს, შემდეგ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც სცადეს.

მ. ლაბაძე მაღაროელებთან ფიზკულტურის ინსტრუქტორად ათ წელიწადს მუშაობდა. მისი დიდი დამსახურებაა, რომ ფიზკულტურა და სპორტი შრომაში მაღაროელთა ერთგული მეკავშირე გახდა. დღეს მაღაროელთა 75 პროცენტი ფიზკულტურელია. ახალგაზრდა სპეციალისტმა გ. ყიფშიძემ წინამორბედისგან აწყობილი საქმე ჩაიბარა. მაგრამ ახალბედას კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების პირველი მასობრივი ღონისძიების ჩატარება რომ არ გაძნელებოდა, ლაბაძემ მეგობრის დასახმარებლად ადგილობრივი საშუალო სკოლის ფიზკულტურული აქტივი გაგზავნა. დასახმარებლად ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკებიც მოვიდნენ.

ერთი სიტყვით, ახალი კომპლექსი მაღაროელებს ზარ-ზეიმით ეწვია. მრავალრიცხოვან მაყურებელს ძალიან მოეწონა მოწინავე მაღაროელი ჯ. ლომსაძე, რომელმაც თავი გამოიჩინა მძლეოსნურ სახეობებში. მაღალი შეფასება დაიმსახურეს, აგრეთვე, ძმებმა მ. და ნ. ბახტაძეებმა, თ. გაფრინდაშვილმა, ნ. ჯაფარიძემ, ბ. მურადიანმა, ჯ. გაფრინდაშვილმა და სხვ.

კარგ მაგალითს „შავი ოქროს" ქალაქის სხვა მაღაროელებიც მალე მიბაძავენ.

**თ. გაჩეჩილაძე.**

**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ჭიათურა.

* * *

**სურათებზე:** მაღაროელები ჯ. ლომსაძე (ზევით) და ნ. ბახტაძე ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისას.

ავტორის ფოტოები.

რიგა, 25 აპრილი. ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის ორი მთავარი პრიზიდან ერთი — სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის მხატვარ მ. გიპსლისის მიერ გაკეთებული ქარვის მინიატურული დვირი — გროდნოელმა მოსწავლემ ო. კორბუტმა დაისაკუთრა. ეს უაღრესად ნიჭიერი ტანმოვარჯიშე გოგონა სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობდა და არც ნებისმიერი პროგრამის შემდეგ დათმო მონაპოვარი: მრავალჭიდში საბოლოოდ 75,45 ქულა დააგროვა.

პრიზიორთა სამეულში მოხვდნენ, აგრეთვე, მინსკელი ა. კოშელი (74,1) და რიგელი ტ. შჩეგოლკოვა (73,85). სტუმართა შორის ყველაზე კარგად იასპარეზა ახალგაზრდა ბ. გერკემ (გდრ), რომელმაც 73,7 ქულით IV ადგილი დაიკავა.

კორბუტა, რომელიც თანაგუნდელთა მწკრივის ბოლოში იდგა, პირველი იყო, როცა საქმე სიმამაცეზე მიდგებოდა. მან ორჯერ გაბედა და დვირსა და ორძელზე ვარჯიშისას უნიკალური ელემენტები შეასრულა.

საპრიზო სამეულის შემადგენლობა შესაძლოა შეცვლილიყო კიდეც, III ადგილზე მყოფი მოსკოველი ო. კარასიოვა რომ არ დაშავებულიყო.

## სიმამაცე დაუფასდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ვითამაშოთ „სპორტლოტო"?

ამ საინტერესო თამაშმა უკვე ჩვენს რესპუბლიკასაც მოაკითხა. 28 აპრილს თბილისში „სპორტლოტოს" ბარათების რეალიზაცია იწყება. სულ მალე გაიხსნება ფილიალები საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

ამჟამად „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში გახურებული საორგანიზაციო მუშაობის პერიოდია. სამმართველოს მუშაკებს უამრავი საზრუნავი აქვთ. მათგან მთავარია ყველა მსურველს გააცნონ სპორტული ლატარიის პირობები.

„სპორტლოტო" რთული არ არის და მისი წესების გაგებასაც მაინცდამაინც დიდი ჭაფა არ სჭირდება. ამ თამაშს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველო ატარებს. ლატარიისთვის გამოშვებულია „სპორტლოტოს" სპეციალური ბარათები, რომელთა ფასი 30 კაპიკია. თითოეული ბარათი შედგება სამი — „ა", „ბ" და „გ" ნაწილებისგან, რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. თითოეულ ნაწილს მინდორზე გაკეთებული აქვს 49 უჯრა, რომლებშიც გარდა რიგითი ნომრისა, დასახელებულია სპორტის ერთი რომელიმე სახეობა, მაგალითად ასე: 8 (კრივი), 33 (რაგბი), 41 (ჩოგბურთი), 45 (ფეხბურთი) და ა. შ. აუცილებელია ბარათის სამივე ნაწილში ნიშნით X გადავშალოთ (მელნით ან ბურთულიანი კალმით) 6 ერთი და იგივე უჯრა ზედ აღნიშნული სახეობებით და რიგითი ნომრებით. ამასთან არაფრის გადაკეთება და წაშლა არც ერთ ნაწილში არ შეიძლება. ასეთი ბარათი უქმდება.

ბარათის „ა" ნაწილი ტირაჟის შედეგების გამოცხადებამდე მოთამაშემ თვითონ უნდა შეინახოს, დანარჩენი ორი ნაწილი კი („ბ" და „გ") ჩაუშვას „სპორტლოტოს" საგანგებო (ყვითელ) ყუთში არაუგვიანეს ზედ აღნიშნული ვადისა (ყოველი თვის 8, 18, 28 რიცხვში, 18 საათამდე).

„სპორტლოტოს" ყუთები დგას კავშირგაბმულობის დაწესებულებებში, „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში, სპორტული საქონლის მაღაზიებში და „სპორტლოტოს" ბარათების საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

ტირაჟი ათ დღეში ერთხელ ტარდება — ყოველი თვის 10, 20 და 30 რიცხვში. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ჩატარებული ტირაჟების შედეგები ქვეყნდება პრესაში, გადმოიცემა რადიოთი და ტელევიზიით.

მეცამეტე ტირაჟი, რომელშიც უკვე თბილისელებიც მიიღებენ მონაწილეობას, 10 მაისს დონეცკში ტარდება. 30 ნოემბერს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში პირველად მოეწყობა სპორტლოტოს ტირაჟი — 33-ე.

ტირაჟის შედეგები ბარათის „ა" ნაწილს უნდა შევადაროთ. თუ სპორტის ექსივე სახეობა დაემთხვა, უკვე შეიძლება დიდ მოგებაზე — 5000 მანეთზე ფიქრი. თუ ხუთ სახეობას გამოიცნობ, მოგება ნაკლები იქნება. ამას გარდა, იგებს ის ბარათებიც, სადაც ემთხვევა სპორტის ოთხი ან სამი სახეობა. მინიმალური მოგება 3 მანეთია.

იმ იღბლიანი ბარათის პატრონი, რომელზეც ექვსი ან ხუთი ნომერი (სპორტის სახეობა) ემთხვევა, პირადად უნდა გამოცხადდეს „სპორტლოტოს" რესპუბლიკურ ზონალურ სამმართველოში ან „ა" ნაწილი ფასიანი წერილით გაიგზავნოს ამ მისამართით: ქ. თბილისი, 54. ელიავას ქ. № 26. „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველო.

ბარათის „ა" ნაწილის შესაბამისი შემოწმების შემდეგ „სპორტლოტოს" სამმართველო შემნახველ სალაროს ავალებს მოგების გადახდას და აცნობებს ამის შესახებ იღბლიანი ბარათის პატრონს.

იმ ბარათით მოგების მისაღებად, სადაც ტირაჟის შედეგებს სამი ან ოთხი სახეობა ემთხვევა, აუცილებელია ბარათის „ა" ნაწილი წარადგინოთ შემნახველ სალაროში, რომელიც „სპორტლოტოს" მოგებას ანაღდებს.

მოგება ნაღდდება ტირაჟიდან ათი დღის შემდეგ 30 დღის განმავლობაში ქალაქის შემნახველ სალაროებში „სპორტლოტოს" მოგებათა ოფიციალური ცხრილის მიხედვით. ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

წარმატებას ვუსურვებთ სპორტული ლატარიის ყველა მონაწილეს.

**გ. ზარდიაშვილი,**
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი.




# ნევროზი სპორტსმენებში

სპორტსმენებში ნევროზი არც ისე იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს ხან სტარტისწინა შიშს მიაწერენ, ხან მორალურ სისუსტეს, ხან უკმარი ფსიქოლოგიური მომზადებით გამოწვეულ მოვლენებს, ხან გადაღლას.

ნევროზის დროს ხდება ცენტრალური ნერვული სისტემის დროებითი აშლილობა, რასაც განაპირობებს ხანგრძლივი უარყოფითი ემოციები, ფსიქიკური და ფიზიკური ქრონიკული გადაძაბვა, უკმარი და არასრულფასოვანი დასვენება, ხანგრძლივი სპორტული სეზონი, უხეიროდ შედგენილი კალენდარი და სეზონის განმავლობაში ზოგჯერადი წარუმატებლობა.

გარდა აღნიშნულისა, ნევროზების განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა ქრონიკული და მწვავე სომატური დაავადება, ინტოქსიკაცია, ტრავმები, ენდოკრინული სისტემის მოშლილობა, ქერქსა და ქერქქვეშა სისტემებზე სპორტული დაძაბულობით წარმოქმნილი უარყოფითი ემოციები. ამასთან, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის კონსტიტუციურ თავისებურებასაც.

უმაღლესი ნერვული მოქმედების აშლილობანი მაღალკვალიფიციურ სპორტსმენებში ძირითადად ნევრასთენიისა და ნევროზების სახით ვლინდება.

ნევრასთენია, ანუ ნერვების სისუსტე, ანუ ნერვული გადაღლა გამოწვეულია ხანგრძლივი ნერვული გადაძაბვით, როცა სპორტსმენი გადაღლის მიუხედავად აგრძელებს სპორტულ მუშაობას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, რაგინდ დიდი ფიზიკური დატვირთვაც დააწვეს სპორტსმენს, თუ სამუშაო სასიამოვნო და მშვიდ სიტუაციაში სრულდება, ნევროზი გამორიცხულია.

არჩევენ ნევრასთენიის ორ ფორმას: ჰიპერსტენიურს და ჰიპოსტენიურს. ჰიპერსტენიური ნევრასთენიის დროს ჭარბობს აღგზნებადობის მომატებისა და გაღიზიანების სიმპტომები. ჰიპოსტენიური ნევრასთენიის დროს შესუსტებულია შინაგანი აქტიური შეკავება. ნევრასთენიის ეს ფორმა ხასიათდება მოთენთილობით, აპათიით, საერთო გუნება-განწყობის დაქვეითებით.

სპორტულ პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება ჰიპერსტენიური ნევრასთენია, მაგრამ მისი შემდგომი ფორმა უკვე ჰიპოსტენიურ ნევრასთენიად იქცევა, რომლის პროცესი მიმდინარეობს ხანგრძლივი ერთფეროვანი, ფიზიკურ-ნერვული დაძაბულობის პირობებში, რასაც ერთვის შეჯიბრებათა წინ განცდილი მღელვარება და ასპარეზობის არასასურველი შედეგით გამოწვეული უარყოფითი ემოციები. ამ მდგომარეობაში მყოფ სპორტსმენს თუ კიდევ მეტი გამღიზიანებელი პირობები შეექმნა, ნევრასთენიის შემდგომი განვითარების ფონი უფრო გამოკვეთილი და სრული ხდება. სპორტსმენთა ნევროზის ამ ფორმის საბოლოო ეტაპისთვის დამახასიათებელი ნიშანია გამღიზიანებლობის შესუსტება, რაც ნერვული სისტემის საერთო აღგზნებადობაში, შემდეგში სწრაფ გამოფიტვასა და დაღლილობაში ვლინდება.

ყოველივე ეს კლინიკურად მჟღავნდება სპორტსმენების უჩვეულოდ მწვავე რეაქციით, ისტერიული შეყვირებით, ტირილით მწვრთნელის, ამხანაგის თუ მსაჯის უმნიშვნელო შენიშვნაზეც კი. ასეთ დროს სპორტსმენი უნდა დაამშვიდონ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მიდგომით, გამოიყვანონ იგი მდგომარეობიდან. დასჯა და გაკიცხვა უფრო აღიზიანებს სპორტსმენს და ართულებს სიტუაციას, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს.

სპორტული ნევროზის ამ ფორმით შეპყრობილი სპორტსმენებისთვის დამახასიათებელია წყვეტილი ძილი, შერეული და კოშმარული სიზმრები, რაც გამოღვიძების შემდეგ მოთენთილობას იწვევს. ხშირად უჩივიან თავის ტკივილს, გულის ძგერას, ჩხვლეტას გულის არეში, მადის დაკარგვას, გულძმარვას და კუჭნაწლავის სხვა მოვლენებს.

ხანგრძლივ სახიფათო ჰიპოსტენიურ ნევრასთენიაში ვარდებიან მაღალი კვალიფიკაციის, მაგრამ ასაკს მიღწეული სპორტსმენები, რომლებსაც „გასაცილებლად" ამზადებენ.

წლების განმავლობაში აქტიურ სპორტულ ცხოვრებას მიჩვეულნი, ისინი ცხოვრებისეულ სიცარიელეში ექცევიან, გაურკვეველი შიში და უხერხულობა იპყრობთ, ეწყებათ მოუსვენრობა, უძილობა, აღგზნებული არიან, კოლექტივის მიმართ ეჭვსა და უნდობლობას იჩენენ. ამ პროცესის ხანგრძლივობა უარყოფითად მოქმედებს იმავე ასაკის სხვა სპორტსმენებზეც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ ასაკში შესულ და წარმატებებს მიჩვეულ სპორტსმენს, რომელიც სარბიელს სტოვებს.

პრაქტიკაში გვხვდება ნევროზის სხვა ფორმაც — შიშის აკვიატება. სპორტსმენი წაგების მუდმივ შიშშია, რის გამოც კარგავს საკმაოდ კარგად ათვისებული ილეთის ტექნიკურად შესრულების უნარს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი სპორტსმენები ფიზიკურად ჯანმრთელი არიან, მაგრამ აკვიატებულ აზრებს ისინი კატასტროფამდე მიჰყავთ.

გაიხსენეთ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის შარშანდელი შუა სეზონის მდგომარეობა: უჩვეულო სიცხეები, ყოველ მესამე დღეს თამაში, ერთი-ორი წაგება, პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება — ყოველივე ამის გამო სპორტსმენთა დიდი ნაწილი ნევროზულ მდგომარეობაში ჩავარდა.

ნევროზის თავიდან აცილება მისი ხელშემწყობი პირობების მოსპობით შეიძლება. მთავარია ყოველგვარი უარყოფითი ემოციები აღიკვეთოს.

ნევროზის დროს სპორტსმენი უნდა გავათავისუფლოთ ვარჯიშისგან 10-12 დღით და აქტიურ დასვენებაზე გადავიყვანოთ, შევუქმნათ დღის სწორი რეჟიმი, ყურადღება გავამახვილოთ დასვენებაზე და ძილზე.

იმ სპორტსმენებს, რომელთაც ნევროზის ნიშნები აქვთ, შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე უნდა დავუწყოთ ცენტრალური ნერვული და გულსისხლძარღვთა სისტემის მედიკამენტოზური მკურნალობა. პროფილაქტიკური მკურნალობა უნდა ჩავუტაროთ აღგზნებად მდგომარეობაში მყოფ სპორტსმენებსაც.

მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად აუცილებელია ინდივიდუალური ფსიქოთერაპიის გამოყენება, მეტოქის დაძლევის გრძნობის განმტკიცებით და სიმხნევის მომატებით.

ძილის გაუარესების შემთხვევაში შეჯიბრებამდე ორი დღით ადრე სპორტსმენს დაწოლის წინ მსუბუქი საძილე საშუალებანი უნდა მიეცეს.

ნევროზის არასათანადოდ შეფასებას და ამ დაავადების მიზეზების არცოდნას უნდა მივაწეროთ სპორტის დარგში მომუშავე იმ სპეციალისტთა, მწვრთნელთა და ჟურნალისტთა გამოსვლები, რომლებიც ყოველ წარუმატებლობას — ნებისყოფის სისუსტეს, ნაკლებ ბრძოლისუნარიანობასა და მორალურ უმდგრადობას მიაწერენ. განა შეიძლება სისხლსავსე ახალგაზრდის, ჯან-ღონით სავსე სპორტსმენის სიმტკიცეში ეჭვის შეტანა? ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები სწორედ მაღალი ბრძოლისუნარიანობითა და ხასიათის სიმტკიცით გამოირჩევიან მუდამ. ამიტომაც ზოგიერთი წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ნევროზია და სხვა არაფერი.

წვრთნის პროცესი ცალმხრივად, პედაგოგიური თუ სამედიცინო ბიოლოგიური თვალთახედვით არ უნდა განვიხილოთ. როგორც წესი, ამ საკითხს კომპლექსურად უნდა მივუდგეთ. ამიტომაც სპორტსმენის მომზადების საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა. ცნობილია, რომ სპორტსმენის მორალური მომზადება აგებულია სოციალურ კანონზომიერებაზე. ამავე დროს, იგი დამოკიდებულია მედიკურ-ბიოლოგიურ თავისებურებაზე, მაგრამ ამ საქმეში ფსიქოთერაპიულ და ფსიქოფარმაკოლოგიურ საშუალებათა ჩართვას განსაკუთრებით დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია.

სპორტსმენთა გონივრული მომზადებით და მათზე გარეგანი არაკეთილსასურველი ფაქტორების ზეგავლენის მოხსნით თავიდან ავიცილებთ უსიამოვნო მდგომარეობას, რომელიც ბევრი მარცხისა და წარუმატებლობის მიზეზია.

**ზ. თელია,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

## [illegible]

### საჩხერე

პიონერთა ორგანიზაციის 50 წლისთავს მიეძღვნა რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა და მოშაშეთა ტურნირები, რომლებშიც 84 მოსწავლე მონაწილეობდა. მოჭადრაკე ჭაბუკებში I ადგილი დაიკავა გ. ცერცვაძემ (საჩხერის მე-2 სკოლა). II-III ადგილები გაიყვეს ჯ. გაგნიძემ (არგვეთის სკოლა) და ს. კაპანაძემ (ჭალის სკოლა). გოგონებში ჩემპიონი გახდა ლ. ბურძენიძე (ჭორვილის სკოლა). II-III ადგილები გაიყვეს მ. ნოზაძემ (მოძვის სკოლა) და მ. მაჭარაშვილმა (კორბოულის 1-ლი სკოლა). მოშაშეთა შორის საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ჭაბუკებში — I მ. გამყებული (საირხის სკოლა), II-III მ. ქამუშაძე (ქორეთის სკოლა) და გ. ჯაჯანიძე (სხვიტორის სკოლა); გოგონებში — I. ნ. ნოზაძე (მოძვის სკოლა), II-III. ე. დვალი (საირხის სკოლა), დ. ტყემალაძე (ჭორვილის სკოლა).

**ა. ანასაშვილი.**

### კასპი

რაიონის მასწავლებელთა პირველობები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. მოჭადრაკეთა ტურნირში გაიმარჯვა იგოეთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ოთარაშვილმა. II ადგილზეა შ. სუხიტაშვილი (დოესის სკოლა), III — ა. მელიქოვი. (კასპის 1-ლი სკოლა). მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა კასპის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. მელაძემ. II ადგილი ხვდა ბ. ჯილავდარს (მცხეთის სკოლა), III — გ. ოთარაშვილს.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

### თელავი

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სოფ. ფშავში ჩატარდა კოლმეურნე მოშაშეთა პირველობა. ჩემპიონის სახელი ვ. გოდერძიშვილს ხვდა.

**შ. ჯაჯვაძე.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი აკრობატიკაში



# 9 წელიწადს „შესვენების" შემდეგ

თბილისის სპორტის სასახლე ამ დღეებში პირველად მასპინძლობს სსრ კავშირის უძლიერეს აკრობატებს. ისე კი ეს სახეობა ახალი ხილი როდია ჩვენი დედაქალაქის სპორტის მოყვარულთათვის: აკრობატთა პირველი დიდი ფორუმი თბილისში ჯერ კიდევ 1940 წელს გაიმართა...

ამჯერად სარბიელზე გამოდიან მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკათა (ესტონეთის, ლიტვის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის წარმომადგენლების გარდა) გუნდები, სულ—186 სპორტსმენი. მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორები, საკავშირო თასის გათამაშებაში გამარჯვებულნი.

პირველ დღეს საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა ოთხეულთა პაექრობა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ერთ ნაკადში გამოდიოდნენ პირველობის პრეტენდენტები — რსფსრ-ს, საქართველოს, უკრაინისა და მოლდავეთის გუნდები. პირველი ვარჯიშის შემდეგ დაწინაურდნენ მოლდავეთისა და საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც მსაჯთა ერთნაირი შეფასება დაიმსახურეს — 9,45 (ეს ციფრი 4-ზე მრავლდება). ლიდერებს სულ რაღაც 5 მეასედი ქულით ჩამორჩა ვოლგოგრადის კვარტეტი, რომელიც რსფსრ-ს სახელით გამოდის.

მეორე ვარჯიშში მოლდაველებმა ჩვენებზე (9,25) უკეთესი შედეგი (9,35) აჩვენეს და ხელთ იგდეს ერთპიროვნული ლიდერობა. II-III ადგილებს 18,7-18,7 ქულით იყოფდნენ საქართველოსა და რსფსრ-ს კოლექტივები.

დაწინაურებულებს შესასრულებელი ჰქონდათ სავალდებულო პროგრამის ბოლო, მესამე ვარჯიში. მოლდავეთისა და საქართველოს გუნდები ამჯერადაც ძლიერად გამოვიდნენ: პირველმა 9,35 ქულა დაიმსახურა, მეორემ — 9,3.

რსფსრ-ს აკრობატებს მესამე ვარჯიშის უზადოდ შესრულებით სურდათ დანაკარგის ანაზღაურება. წათ ჩინებულად დაიწყეს გამოსვლა, მაგრამ დასკვნითს ნაწილში, როცა ერთ-ერთი პარტნიორი არაბული მალაყით თანაგუნდელის მხრებზე უშეცდომოდ უნდა დამხტარიყო, ნერვებმა უმტყუნა და თავი ვერ შეიკავა. გუნდს დაბალი შეფასება ხვდა — 7,1.

სამი სავალდებულო ვარჯიშის შესრულებისას მოხტუნავე ქალებში ლიდერობისთვის ბრძოლა გაიმართა ნ. ტიმოფეევას, ვ. ჩუხარევასა (ორივე — რსფსრ) და ა. პოღოსიანს (საქართველო) შორის. სამივე ვარჯიში ტიმოფეევამ უკეთ შეასრულა და დაწინაურდა კიდეც — 28,2. II ადგილს ინარჩუნებს ჩუხარევა — 28,0. მესამე შედეგი აქვს საქართველოს წარმომადგენელს — 27,95. სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ა. მასლობოინიკოვა (რსფსრ) მხოლოდ მეექვსე იყო.

ვაჟებში საინტერესო ბრძოლა გაიმართა რსფსრ-ს წარმომადგენლებს — სსრ კავშირის ჩემპიონ ა. ტიმოფეევს, ი. ზიკუნოვსა და ს. ალმრიძეს შორის. 27,85 ქულით დაწინაურდნენ ტიმოფეევი და ზიკუნოვი. ალმრიძეს 0,15 ქულით ნაკლები აქვს.

შერეულ წყვილებში გ. ფრიდმანისა და ა. სტეპანოვის (რსფსრ) უპირატესობა აშკარა იყო — ამ დუეტმა 57,1 ქულით ხელთ იგდო ლიდერობა. II ადგილზე არიან გ. ვასიანინა და ი. საველიევი (რსფსრ) — 56,9, III — საქართველოს დუეტი (დ. იაშალაშვილი, ფ. ვოლჩენკო) — 65,5.

ვაჟთა ძალისმიერ წყვილებში ლიდერთა სამეული ასეთია: 1. ვ. აბანევიჩი, ა. ლავრენკოვი — 57,3 ქულა, 2. ვ. ნაზაროვი, ვ. ალიმანოვი — 56,5, 3. მ. სმირნოვი, ვ. სკოვოროდკინი (სამივე წყვილი — რსფსრ) — 56,5.

სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ: უკრაინა — 332,05 ქულა, რსფსრ — 328,9, საქართველო — 325,5.

**ზ. გოგლიძე.**

* * *

**სურათზე:** უკრაინის ოთხეული ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# მეტრეველის „მინი-ტურნე" თბილისში

ჩოგბურთი და ალექსანდრე მეტრეველი ამ სახეობის ქართველი მოყვარულებისთვის დღეს თითქმის გაიგივებულია. ამიტომ გახდა ჩოგბურთი ესოდენ პოპულარული ჩვენს რესპუბლიკაში, მიუხედავად მისი გეოგრაფიის არც ისე დიდი მასშტაბისა.

ქართველი გულშემატკივრები პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით უამრავ ინფორმაციას ღებულობენ მეტრეველის ბრწყინვალე გამარჯვებებზე დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ მეტრეველის ყოველი გამოსვლა თბილისის კორტებზე ჩოგბურთის მოყვარულთა ზეიმად იქცევა...

ახლახან თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს ჩოგბურთის სტადიონზე დამთავრდა გუნდური გათამაშება ქალაქის თასზე. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ასპარეზობაში მონაწილეობდა ქალთა 5 და ვაჟთა 8 გუნდი. ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბურევესტნიკისა" და „დინამოს" ჩოგბურთელები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს სტუდენტებმა. „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები ტ. ფარსადანოვა, ო. პაპაიანი და ლ. მგალობლიშვილი.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში ა. მეტრეველის მონაწილეობამ განაპირობა ის, რომ, ამ შედარებით ვიწრო მასშტაბის ასპარეზობას, ბევრი მაყურებელი დაესწრო. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოს" და „განთიადის" ჩოგბურთელები. მეტრეველმა, იმის გამო რომ იტალიის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდა, ერთ დღეს ჩაატარა სამი შეხვედრა (სამივე მოიგო) და თავის თანაგუნდელებთან ლ. მძინარიშვილთან და ვ. გუნჩინთან ერთად უზრუნველყო დინამოელთა მიერ შარშან დაკარგული I ადგილის და თასის მოპოვება. „დინამომ" გაიმარჯვა ანგარიშით 4:0.

მეტრეველის სამი შეხვედრა შესაძლოა სპორტულად არც ისე საინტერესო იყო. მაგრამ იგი მაინც კარგი გაკვეთილი გახლდათ მასზე შედარებით ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილი ჩოგბურთელებისთვის.

**ლ. მგალობლიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

# რევანში არ შედგა

კიევი, 26 აპრილი. კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ კიდევ რამდენიმე კორექტივი შეიტანა ამერიკის ოლიმპიური ნაკრებისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრების კალენდარში. ყველა ეს ცვლილება საბჭოთა ნაკრების ინტერესების გათვალისწინებითაა გამოწვეული. როგორც ცნობილია, ჩვენი ოლიმპიური გუნდი ამჟამად ძალებს ცდის მიუნჰენის ბატალიების წინ. ნაკრების მწვრთნელების მთავარი ამოცანაა შემადგენლობის საბოლოო დადგენა და იმ 12 კალათბურთელის დასახელება, რომლებსაც ოლიმპიადაზე გამგზავრება მოუწევთ. ამ მხრივ აშშ-ს ნაკრები იდეალური სპარინგ-პარტნიორია და საბჭოთა მწვრთნელებიც ცდილობენ რაც შეიძლება მეტჯერ შეხვდნენ მომავალ მეტოქეს.

გუშინდელი რიგგარეშე მატჩი უკრაინის დედაქალაქში სწორედ ამ მიზანს ისახავდა. ამერიკელებმა თამაში უკვე ნაცნობი ხუთეულით დაიწყეს: გ. პოპოვიჩი, დ. კრენშო, რ. რიჩარდსი, ვ. ნიუტონი, კ. პარსონსი. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა სასტარტო ხუთეული ოდნავ შეცვალა. ა. ჟარმუხამედოვი მოედანზე არ გამოვიდა. მისი ადგილი ა. ბოლოშევმა დაიკავა. პირველ ხუთეულში ითამაშა გ. ვოლნოვმაც, მაგრამ ამ ექსპერიმენტმა, როგორც ჩანს, არ გაამართლა. ვოლნოვი შეზღუდულად მოქმედებდა და უხეშ შეცდომებს უშვებდა, ამასთან, მე-13 წუთისთვის 5 პერსონალური შენიშვნა დაუგროვდა და, ცხადია, მოედანიც დატოვა.

მატჩი დაიწყო სტუმრების მძაფრი შეტევებით, მაგრამ ანგარიში მხოლოდ მე-2 წუთზე გაიხსნა. ამერიკელები რევანშის აღების სურვილით იყვნენ შეპყრობილი, თამაშობდნენ უაღრესად მონდომებით და თავგანწირვით. პირველი 15 წუთი მათი უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ, როგორც კი მოედანზე გამოვიდნენ ა. ჟარმუხამედოვი და ი. ედეშკო, სურათი მკვეთრად შეიცვალა. ინიციატივა ხელთ იგდეს საბჭოთა კალათბურთელებმა, რომლებიც მე-17 წუთის შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც — 27:26. ტაიმი საბჭოთა ნაკრებმა 3 ქულის უპირატესობით მოიგო — 37:34.

შესვენების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. სტუმრები თითქოს შეეგუენ მარცხს და შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ერთობ უფერულად ჩაატარეს. რევანში არ შედგა: სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში — 82:66.

ამერიკელებში შედეგიანი თამაშით თავი გამოიჩინეს: კეისიმ — 16 ქულა, კრენშომ — 14, რიჩარდსმა — 10. სსრ კავშირის ნაკრების წევრთაგან ყველაზე ბევრი ქულა დააგროვეს: კრიკუნმა — 14, ჟარმუხამედოვმა და ანდრეევმა — 12-12.

საბჭოთა ნაკრების სასტარტო ხუთეული ამ შეხვედრაში ასეთი იყო: ს. და ა. ბელოვები, ა. კრიკუნი, ა. ბოლოშევი, გ. ვოლნოვი.

## [illegible]

### ✦ ბოლნისი

ღვინის ქარხნის მუშამ ა. რეხვიაშვილმა ერთთვიანი ბრძოლის შემდეგ ჭადრაკში რაიონის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

**ა. გიგინეიშვილი,**
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

შესამე წელია ტრადიციად დამკვიდრდა შავი ზღვის რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელიც ყოველ აპრილს ფოთში იმართება.

წლევანდელ ასპარეზობამდე მოეწყო მსაჯთა სემინარი, რომელსაც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ლენინგრადელი ა. პეტერსონი ხელმძღვანელობდა. სემინარმა მოისმინა მსაჯობის წესებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, განიხილა სხვა საინტერესო საკითხებიც...

ტურნირმა ორ დღეს გასტანა. მონაწილეებს უფლება ჰქონდათ ძალა ორ სახეობაში ეცადათ. პირველი დღის პროგრამა დამატებით რბოლას (3800 მ) შეიცავდა. ასპარეზობა რთულ ბუნებრივ პირობებში ჩატარდა: ძლიერი გვერდითი ქარი სპორტსმენებს ძალიან უშლიდა ხელს.

პირველად სტარტი რვაადგილიანმა ნავებმა აიღეს. ყველას აჯობა საქართველოს ნაკრებმა — 17.05,0. ფოთის „ვოდნიკი" გამარჯვებულს ჩამორჩა... 15 წუთით. ფოთელებს ქარმა აურია გზა-კვალი.

ერთადგილიანებით შეჯიბრებაში ეს დისტანცია ყველაზე სწრაფად ფოთელმა გ. სელიუტინმა დაფარა. მან იმის წყალობით გაიმარჯვა, რომ არმიელთა სპორტკლუბის წარმომადგენელ გ. ფაციას, რომელიც თითქმის ფინიშამდე ლიდერობდა, ქარმა ნავი გადაუბრუნა.

უმესაჭო ოთხიანებში რბოლა დიდი უპირატესობით მოიგო საქართველოს იმ კვარტეტმა, რომლის მენიჩბე ჯ. ჭანტურია იყო. მესაჭიანი ოთხიანების ასპარეზობაში გამარჯვება გომელის კვარტეტს დარჩა.

წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი ნავებით გაცურვაში ბადალი არ ჰყავდა ბაქოელთა კოლექტივს. მოსკოველებმა გასაშლელი ორიანებით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

შეჯიბრების ბოლო დღეს ტურნირი კლასიკურ (2000 მ) დისტანციაზე მოეწყო. უმესაჭო ორიანებით ფინალურ ტურნირში საქართველოს ნაკრებმა იმარჯვა — 6.57,1. საქართველოს „ბურევესტნიკი" II ადგილზე გავიდა — 7.09,9. III ადგილზეა მოსკოვის „ვოდნიკი" — 8.18,6.

ერთადგილიანებით ტურნირში სამივე საპრიზო ადგილი მოსკოველმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. მათ შორის უძლიერესი აღმოჩნდა ა. ვასილიევი — 7.49,6.

რვიანებით შეჯიბრებაში საუკეთესო დრო აჩვენა შავი ზღვისა და მინგეჩაურის შარშანდელ რეგატებში გამარჯვებულმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ბრინჯაოს

# სტარტზეა... ძლიერი ქარი

პრიზიორმა, საქართველოს ოქტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გ. ნიკურაძე, ო. ქაფიანიძე, ნ. ფილიევი, ს. ბარიშევი, ა. კაპანაძე, გ. ხურციძე, ჯ. გოგლიჩიძე, ჯ. ჭანტურია და მესაჭე ო. ბერიძე — 6.02,6. ფოთის „ვოდნიკი", რომელიც ფინიშთან ახლაც მეორე მიცურდა, ლიდერს 27 წამით ჩამორჩა.

საღამოს ქარი ჩადგა. სპორტსმენებს თავიანთი უნარის გამომჟღავნების მეტი შანსი მიეცათ. ბრძოლაც უფრო საინტერესო გახდა. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით ასპარეზობაში გომელისა და ბაქოს ნავები დიდხანს მხარდამხარ მიცურავდნენ. ბაქოელებმა (ი. მაკაშენკო, ვ. თაბიდოვი) მეტოქეს ფინიშზე წამით მიასწრეს — 6.59,4. მესამე ადგილზე როსტოველთა ეკიპაჟი გავიდა.

საქართველოს სპორტსმენებმა (გ. ნიკურაძე, ო. ქაფიანიძე, მესაჭე ო. ბერიძე) მოიგეს მესაჭიანი ორადგილიანებით გაცურვა. ასევე მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა უმესაჭო ოთხიანებით ტურნირი.

როგორც აღვნიშნეთ, რეგატა ერთგვარად ვააუფერულა უამინდობამ, რასაც ისიც დაემატა, რომ ახალი ბაზა, რომელიც შარშან ჩადგა მწყობრში, წესიერად დღემდე არაა მოწყობილი. პეტერსონმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ტურნირის მსაჯთა ნაწილი რთული მეტეოროლოგიური პირობებისთვის სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა. ბაზაში არ არის შხაპები, მოუწყობელია გასახდელები, რის გამო სპორტსმენები მწვრთნელთა ოთახებში იხდიდნენ. საექიმო კაბინეტი უმოქმედობს. ირგვლივ ანტისანიტარიაა. ბაზის სასტუმრო სრული დატვირთვით არ მუშაობს. სასადილო უხეირო კერძებს ამზადებს.

ბაზის დირექციამ ყველა ამ ხარვეზის გამოსწორებისთვის გადამწყვეტი ღონისძიება უნდა გაატაროს.

**ლ. ხეცურიანი,**
შეჯიბრების მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

* * *

**სურათზე:** საქართველოს რვაადგილიანი ნავის ეკიპაჟი დისტანციაზე.

ი. ყიფიანის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზერბაიჯანის პირველი ჩემპიონები ტრეკზე

თბილისში სამ დღეს გაგრძელდა აზერბაიჯანის I პირადი ჩემპიონატი სატრეკო ველოსპორტში. უკვე რამდენიმე წელია აზერბაიჯანელები თავიანთ ტრეკს ელიან, მაგრამ ჯერჯერობით, ვიდრე საკუთარი ბაზა ექნებოდეთ, გადაწყდა შეჯიბრება აქ ჩაეტარებინათ. უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობის დაწყებამდე მოძმე რესპუბლიკის ველოსიპედისტებმა თბილისში რამდენიმე საწვრთნელი მეცადინეობა ჩაატარეს და ამ ცოტა ხანშიც მშვენივრად შეეგუენ ტრეკს.

სერიები დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. პირველობა ქალიშვილებმა დაიწყეს 500 მეტრზე ადგილიდან გიტში. ბრძოლის დაძაბულობას ისიც მოწმობს, რომ „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა ი. მაქსიმოვამ და ვ. კონდრატოვამ ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 43,9 წამი.

ქალთა შორის ამავე დისტანციაზე ჩემპიონი გახდა კიროვაბადელი ნ. სმირნოვა — 42,7 წამი. იგი პირველი იყო სპრინტერულ რბოლაშიც.

ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე ადგილიდან გიტში ყველას აჯობა „ნეფთჩის" წარმომადგენელმა ა. ფომინმა.

ამავე დისტანციაზე ვაჟებში ჩემპიონობა დაისაკუთრა ბურევესტნიკელმა ვ. კონდრატიევმა. მანვე მოიგო სპრინტერული რბოლა 4 კმ-ზე.

სპრინტერულ რბოლაში ქალიშვილთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა გ. სუხოვა („ნეფთჩი").

3 კმ-ზე ასპარეზობაში ჩემპიონია „ნეფთჩის" წარმომადგენელი ბ. აბრამოვი. ქალებიდან იგივე მანძილი ყველაზე სწრაფად ფ. ტუტუნოვამ დაფარა.

ქალიშვილები 2-კილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ პირველი იყო ბურევესტნიკელი ი. მაქსიმოვა.

4 კმ-ზე გუნდურ რბოლაში ყველას აჯობეს „ნეფთჩის" წარმომადგენლებმა.

საუკეთესო სპორტსმენებით დაკომპლექტდა აზერბაიჯანის ნაკრები, რომელიც საკავშირო სარბიელზე გამოვა.

კ. ნუშტაევი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — სპრინტში გამარჯვებული ნ. სმირნოვა; მარჯვნივ — ე. კონდრატოვა 500 მეტრზე რბოლის ფინიშთან.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ვის შეარჩევს ვ. ბოშკოვი?

იუგოსლავიაში დიდი ინტერესით მოელიან 30 აპრილის მეოთხედფინალურ მატჩს ევროპის პირველობაზე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. „სპორტის", „პოლიტიკის", „ბორბის", „პოლიტიკი-ექსპრესოდისა" და სხვა გაზეთების ფურცლებზე ბოლო დღეებში სისტემატურად ქვეყნდება ცნობები იუგოსლაველ ფეხბურთელთა მზადებაზე, სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატებზე და სხვა მასალები ამ თემაზე.

— უდიდესი ყურადღება ამ მატჩის მიმართ, — აღნიშნა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში იუგოსლავიის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვ. სტოიკოვიჩმა, — აიხსნება პირველ ყოვლისა იმით, რომ იუგოსლაველ გულშემატკივრებს კარგა ხანია მოენატრათ ასეთი დონის მატჩები (ყველა საპასუხისმგებლო შეხვედრამ იუგოსლავიის ნაკრებს უცხოეთში მოუწია), მეორეც, ჩვენ მუდამ პატივისცემით ვეპყრობოდით საბჭოთა ფეხბურთს და მიგვაჩნია, რომ მას დიდი ავტორიტეტი აქვს საერთაშორისო სარბიელზე.

იუგოსლავიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ბოშკოვმა განაცხადა:

— ჩვენი აზრით, მატჩი სსრ კავშირის ნაკრებთან ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენთვის ბოლო წლების მანძილზე. ჯერჯერობით საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი გვაქვს, მაგრამ ყველა ღონეს ვიხმართ ამ ტრადიციის დასარღვევად. მე დავესწარი საბჭოთა ფეხბურთელთა მატჩებს ბულგარელებთან სოფიაში და პერუელებთან კიევში. საბჭოთა გუნდი — ესაა კარგად შეთამაშებული, დისციპლინირებული კოლექტივი. მას მაღალი ტექნიკა და დაგეგმილი ტაქტიკა აქვს.

იუგოსლავიის ნაკრები 24 აპრილიდან ვარჯიშობს ნოვი-სადში გახსნილ ახალ სტადიონზე. ბელგრადში იგი დაბრუნდება 29 აპრილს, მატჩის წინა დღეს. ვ. ბოშკოვთან ერთად ნოვი-სადში იმყოფება 19 ფეხბურთელი: მეკარეები მარიჩი და კოვაჩევიჩი, მცველები სტეპანოვიჩი, რამლიაკი, პავლოვიჩი, ხოლცერი, პაუნოვიჩი, ხატუნიჩი, კატალინსკი, კრივოკუჩა, თავდამსხმელები პეტკოვიჩი, ობლაკი, იანკოვიჩი, აჩიმოვიჩი, ჯაიჩი, ბაევიჩი, ბუკალი, ვუკოტიჩი და ნიკეზიჩი.

„სპორტის" აზრით, ვ. ბოშკოვი მატჩზე ასეთ შემადგენლობას გამოიყვანს: მარიჩი, რამლიაკი, სტეპანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ხოლცერი, პეტკოვიჩი, ობლაკი, იანკოვიჩი, აჩიმოვიჩი, ჯაიჩი.

თვით ბოშკოვმა ამას წინათ შემდგარ პრეს-კონფერენციაზე ასეთი შემადგენლობა დაასახელა: მარიჩი, რამლიაკი, პაუნოვიჩი, ხოლცერი, სტეპანოვიჩი, პავლოვიჩი, ობლაკი, აჩიმოვიჩი, პეტკოვიჩი, ბაევიჩი, ჯაიჩი.

ი. როდიონოვი.
(საკდესის კორ.).

ბელგრადი.

# ასეთია უნგრეთის ნაკრები

როგორც უნგრეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილოვსკიმ ბუდაპეშტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ევროპის ჩემპიონატში რუმინელთა წინააღმდეგ მატჩში მან შეარჩია შემდეგი ფეხბურთელები: მეკარე — როტერმელი; დაცვა — პანჩიჩი, ფაბიანი, კოვაჩი, ბალინტი, ვიდაჩი; ნახევარდაცვა — სიუჩი, იუხასი, ზამბო; თავდასხმა — ალბერტი, სიოკე, ბენე, ფაზეკაში, ბრანიკოვიჩი, დუნაი.

# ბოლო საწვრთნელი მატჩი



კიევი, 25 აპრილი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ბოლო სპარინგ-პარტნიორი იუგოსლავიის გუნდთან ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩის წინ იყო ოდესის „ჩერნომორეცი". თამაშს უამინდობა დაესწრო: ჯერ წვიმდა, ხოლო შემდეგ მოთოვა კიდეც. მიუხედავად ამისა, მატჩი საინტერესოდ მიმდინარეობდა. ნაკრებმა გაიმარჯვა — 2:0. ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა მახოვიკოვმა, ხოლო 62-ე წუთზე კოზინკევიჩმა მეორე ბურთი გაიტანა „ჩერნომორეცის" კარში.

ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ისტომინი, დოლმატოვი, მახოვიკოვი, კოლოტოვი, ევრიუჟიხინი, ბანიშევსკი, ტროშკინი, კოზინკევიჩი. შესვენების შემდეგ რუდაკოვი შეცვალა ბანიკოვმა, ხოლო კოზინკევიჩი — კონკოვმა.

ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელთა გარდა ნაკრების მწვრთნელი ნ. გულიაევი იუგოსლავიაში წაიყვანს კაპლიჩნის, მატვიენკოს, კოპეიკინს, აბრამოვს და ბაიდაჩნის.

# რამსეი ასახელებს კანდიდატებს

29 აპრილს ლონდონის „უემბლიზე" გაიმართება ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრა ინგლისისა და გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ინგლისში მოუთმენლად ელოდნენ ა. რამსეის შემადგენლობის გამოქვეყნებას, ვინაიდან, ბევრის აზრით, დადგა დრო, როცა ნაკრები უნდა გამოეთხოვოს ვეტერანებს. ამას გარდა, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო მატჩები მეტისმეტად დაძაბულად მიმდინარეობდა და ნაკრებმა რამდენიმე ძირითადი მოთამაშე დაკარგა.

რამსეიმ შემდეგი ფეხბურთელები დაასახელა: **მეკარეები** — ბენქსი („სტოკ-სიტი"), შილტონი („ლეისტერ-სიტი"), კლემენსი („ლივერპული"); **დაცვა** — მედლი, ჰანტერი („ლიდს იუნაიტედი"), მაკფარლანდი, ტოდი („დერბი ქაუნთი"), ნიში („ლეისტერ-სიტი"), ჰიუზი („ლივერპული"), მური („ვესტ ჰემ იუნაიტედი"); **ნახევარდაცვა** — ბოლი, სტორი („არსენალი"), ბელი („მანჩესტერ-სიტი"), მალერი, პიტერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური"); **თავდასხმა** — შენონი („საუთჰემპტონი"), ჩივერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), კლარკი („ლიდს იუნაიტედი"), ჰერსტი („ვესტ ჰემ იუნაიტედი"), ლი („მანჩესტერ-სიტი"), მაკდონალდი („ნიუკასლ იუნაიტედი").

აღსანიშნავია, რომ კლემენსი, ნიში, ტოდი, შენონი და მაკდონალდი დღემდე არასოდეს ყოფილან ნაკრების კანდიდატებიც კი.

ნაკრებში არ არის ბ. ჩარლტონი, რომელიც ბოლო დროს ძველებურად ვეღარ თამაშობს.

(საკ. ინფ.).

# ბენქსი — ინგლისის № 1 ფეხბურთელი

ინგლისის სპორტული ჟურნალისტების ტრადიციული ანკეტის შედეგი ასეთია: ეროვნული ნაკრების და „სტოკ-სიტის" 33 წლის მეკარემ გორდონ ბენქსმა ხმების 75 პროცენტი დააგროვა და ინგლისის 1972 წლის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა აღიარებული. II ადგილზეა ეირეს ნაკრებისა და „ლიდს იუნაიტედის" ნახევარმცველი ჯ. ჯაილსი, III — „სტოკ-სიტის" ვეტერანი თავდამსხმელი ჯ. ისტჰემი.

ბენქსი შარშან მესამე ფეხბურთელად იყო დასახელებული, ხოლო შარშანწინ — მეორედ. ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა მეკარე წლის საუკეთესო ფეხბურთელად ცხადდება (1956 წელს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული იქნა „მანჩესტერ-სიტის" მეკარე ბ. ტრაუტმანი).

საინტერესოა, რომ „სტოკ-სიტის" მოთამაშეებიდან ბენქსი მეორეა, რომელსაც ეს საპატიო ტიტული ერგო. პირველი „სტოკ-სიტის" ლეგენდარული მარჯვენა გარემარბი ს. მეტიუზი გახლდათ, რომელმაც ეს წოდება 1963 წელს მოიპოვა.

# [illegible]-72

● **რომი**, 25 აპრილი. ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონებმა ო. მოროზოვამ (მოსკოვი) და ა. მეტრეველმა (თბილისი) წარმატებით აიღეს სტარტი იტალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში: მეტრეველმა დაამარცხა ამერიკელი ჯ. მაკ-მანუსი (6:4, 6:2), ხოლო მოროზოვამ — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ს. მაინფორდი (6:1, 6:4).

● **საუთენდი**, 25 აპრილი. ინგლისის ნაკრებმა მაგიდის ჩოგბურთში ევროპული ლიგის პირველობის მატჩში ანგარიშით 5:4 სძლია უნგრეთის გუნდს და გაიძლიერა I ჯგუფში დარჩენის შანსი. ევროპის ამასწინანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბეატრიქს კიშხაზი დამარცხდა ინგლისელ ჯილ ჰამერსლეისთან — 21:7, 17:21, 12:21. დენის ნილმა შეძლო კონტინენტის ჩემპიონატის ვერცხლის მედალისტის, უნგრელი იშტვან იონერის დამარცხება — 21:14, 21:17. ლიგის პირველობაში კვლავინდებურად ლიდერობს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებს ოთხი გამარჯვება აქვთ ხუთ მატჩში.

● **კოპენჰაგენი**, 25 აპრილი. აქ გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში ევროპული ლიგის პირველობის მორიგი მატჩი II ჯგუფში. ავსტრიელებმა ანგარიშით 5:2 სძლიეს დანიელებს და საერთო გამარჯვება გაინაღდეს. შემდეგ სეზონში ისინი უკვე I ჯგუფში გამოვლენ.

● **მინსკი**, 25 აპრილი. ბელორუსიის რაპირისტმა ქალებმა ზედიზედ მეორე წელია გაიმარჯვეს ამ რესპუბლიკის თასის ღია გათამაშებაში, რომელშიც ამჯერად 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამ საინტერესო ტრადიციული ტურნირის ნახევარფინალში ბელორუსიის პირველმა გუნდმა სძლია რუმინელებს (9:3), ხოლო მოსკოველებმა პოლონელებს აჯობეს (9:4). ფინალისტები კარგად იცნობენ ერთმანეთს. მოსკოველებმა ერთხელ უკვე დაისაკუთრეს ბელორუსიის თასი (ეს მოხდა ორი წლის წინათ). უკვე პირველ ორთაბრძოლაში ნ. ივანოვამ საკმაოდ იოლად აჯობა ნ. კოზლენკოს, მერე კი ბელორუსიის წარმომადგენლებმა ზედიზედ ექვს წარმატებას მიაღწიეს. მაგრამ ამან სტუმრები ვერ შეაკრთო: ჯერ ტ. ლიუბეცკაიამ დაამარცხა კოზლენკო, მერე ივანოვამ — მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ე. ბელოვა, ტ. ზოლოტოვამ კი ლ. რუსაკი. მაგრამ საბოლოოდ წარმატება მაინც მასპინძელთა მხარეს იყო — 9:6. III ადგილი დაიკავეს რუმინელებმა, რომლებმაც ანგარიშით 9:6 დაამარცხეს პოლონელები.

● **დონის როსტოვი**, 25 აპრილი. სსრ კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების აქ გამართული მეორე ამხანაგური შეხვედრაც მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა, ამჯერად ანგარიშით 3:1 (16:14, 16:14, 12:15, 15:7).

● **ლენინგრადი**, 25 აპრილი. იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ეროვნულმა გუნდმა სსრ კავშირში ტურნე გამარჯვებით დაიწყო: აქ ანგარიშით 3:1 (12:15, 18:16, 15:1, 15:10) დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრები.

● **ვარშავა**, 25 აპრილი. კოშკიდან წყალში ხტომის საბჭოთა ოსტატებმა ა. კუზნეცოვმა და ა. კალაშნიკოვმა პოლონეთის ღია ჩემპიონატში II და III ადგილები დაიკავეს (შესაბამისად — 412,32 და 386,76 ქულა). გამარჯვა ვარშაველმა ი. პუხოვმა — 432,30. ტრამპლინიდან ქალთა ხტომაში ყველას აჯობა ს. ბეკერმა (გდრ) — 397,86.

● **ბერლინი**, 25 აპრილი. გდრ-ის ბადროს მტყორცნელებმა საზაფხულო ოლიმპიური სეზონი გახსნეს. 22 წლის გ. მიულერმა პირველად გადალახა 60-მეტრიანი ზღვარი — 60,20 მ. მეორე იყო გამოცდილი ლ. მილდე — 59,26.

● **ვარშავა**, 25 აპრილი. აქ გამართულ შეჯიბრებაში კ. ნადოლნამ პოლონეთის რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 56,74 მ.

# ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

## ესპანეთი

ჩემპიონატის XXX ტურში წაიფორხილა მადრიდის „რეალმა", რომელმაც გრანადაში 2 ქულა დაკარგა ადგილობრივ „რეალთან" — 1:2. „ვალენსიამ" შინ მოუგო „სევილიას" — 2:0, ხოლო მადრიდის „ატლეტიკომ" და ბარსელონის „ესპანიოლმა" ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 30 | 45:21 | 43 |
| „ვალენსია" | 30 | 44:24 | 37 |
| „ბარსელონა" | 29 | 35:22 | 37 |

## ინგლისი

თასის ფინალში, რომელიც მაისში „უემბლის" მინდორზე მოეწყობა, „ლიდს იუნაიტედის" წინააღმდეგ ითამაშებს თასის შარშანდელი მფლობელი — ლონდონის „არსენალი", რომელმაც დამატებით ნახევარფინალურ შეხვედრაში ანგარიშით 2:1 სძლია „სტოკ-სიტის" (პირველი მატჩი — 1:1).

ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრის შედეგები ასეთია: „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ლიდს იუნაიტედი" 1:0, „საუთჰემპტონი" — „ჩელსი" 2:2, „კოვენტრი-სიტი" — „შეფილდ იუნაიტედი" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ-სიტი" | 42 | 72:42 | 57 |
| „დერბი ქაუნთი" | 41 | 68:33 | 56 |
| „ლივერპული" | 41 | 64:30 | 56 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 40 | 70:29 | 55 |

(საკ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04510